ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №712935

ნომერი: AR1134000

თარიღი : 24.05.2013

გაცემის თარიღი : 29.05.2013

გაცნობის თარიღი : 02.07.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შარტავა , N 40 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა შარტავა , N 40 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ გეგუჩაძე პ/ნ 01021004482
- თბილისი საექიმოს შეს. N 2 ბ. 53

ორგანიზაცია:

- სს ''ხალიკ ბანკი საქართველო" კოდი: 205236537

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: თანახმად წარმოდგენილი დოკუმენტაციისა თვალსაჩინოა ის გარემოება, რომ საპროექტო შენობა-ნაგებობა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის #ბ-12/1321107-16 20.05.13წ. ბრძანების საფუძველზე მიღებულია ექსპლუატაციაში. შესაბამისად საკითხი უნდა დააყენოთ არა კორექტირების, არამედ რეკონსტრუქციის კუთხით და ამისათვის უნდა ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით და შეარჩიოთ შემდეგი სახის ნომენკლატურა: "I კლასი" - "ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი" - ქმედებები "რეკონსტრუქცია".

ამასთანავე გაურკვეველობას იწვევს ის გარემოება, რომ "განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე" "საკადასტრო კოდი"-ს გრაფაში მითითებული გაქვთ ს.ს. "ხალიკ ბანკი საქართველო"-ს საკუთრებაში არსებული ორი ფართის საკადასტრო მონაცემები. "მოთხოვნის ტექსტი"-ს გრაფაში დაკონკრეტდეს უშუალოდ რომელ ფართზე ხორციელდება სარეკონსტრუქციო სამუშაოები და მხოლოდ აღნიშნული ფართის საკადასტრო მონაცემები იქნას შეყვანილი შესაბამის ველში.

განახლდეს მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა, სადაც საპროექტო შენობა-ნაგებობა აღარ იქნება დატანილი როგორც მშენებარე და განახლებულ საკადასტრო გეგმაზე მოინიშნოს სარეკონსტრუქციო არეალი და ვინაიდან მინაბლოკების ნაცვლად ეწყობა ფანჯრის ღიობები წარმოდგენილი უნდა იყოს მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის/მესაკუთრეების (იმ შემთხვევაში თუ ღიობები ეწყობა კორპუსის მხარეს ასეთ შემთხვევაში ამხანაგობის) თანხმობა, სამეზობლო მიჯნის ზონაში ღიობების მოწყობასთან დაკავშირებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.